სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“
თავმჯდომარეს ქ–ნ ეკატერინე სისაურს

შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ (ს/კ: 401945507)
დირექტორის ნინო ჩიქვინიძის
მისამართი: თბილისი, ჯანაშვილის ქ. 5-7, ბინა 17
ტელ: 599515309

განცხადება

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, შპს "გია ჭკუასელის კლინიკა" საკუთრებაში ფლობს ქ. თბილისში თევდორე მღვდლის ქ. 13–ში მდებარე ფართს საპრივატიზებო პირობებით (უძრავი ქონების სკ: 01.13.07.021.024.01.503 და 01.13.07.021.024.01.502).

წინამდებარე განცხადებით გაცნობებთ, რომ ჩვენ მოვიძიეთ ინვესტორი კომპანია, კერძოდ, შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ (ს/კ 205250618), რომელიც გამოთქვამს მზადყოფნას შეიძინოს შპს "გია ჭკუასელის კლინიკის" წილის 100% და დაიწყოს მნიშნელოვანი ინვესტიციის დაბანდება მოცემულ ფართში სამედიცინო პროფილის საქმიანობის განხორციელების მიზნით.

გვინდა ასევე გაცნობოთ, რომ შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ უკვე წლებია წარმატებულად ფუნქციონირებს ქართულ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე და აქედან გამომდინარე, მათთვის იმ პროფილით საქმიანობა, რომლითაც დატვირთულია უძრავი ქონება, არის ძირითადი მიმართულება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ კლინიკა „ჰელსიკორი“ განთავსებულია უშუალოდ იმავე შენობაში, სადაც მდებარეობს ჩვენი კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

იმისათვის, რომ მომავალში გამოირიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა, შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ ითხოვს წერილობით თანხმობას მასზედ, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ არ არის წინააღმდეგი მოხდეს შპს "გია ჭკუასელის კლინიკის" 100% წილის გასხვისება.

პატივისცემით,

შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“
დირექტორი ნინო ჩიქვინიძე
18.12.2017 წ.

სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
შემოსავლის № 11288/05
„18“ 12 2017 წ.
ფურცელი